პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№ 77
(12 045)

6 – 9 ოქტომბერი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ლეგენდარულ მძლეოსანს, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს, სამგზის ოლიმპიური თამაშების სამგზის (1968, 1972, 1976) ჩემპიონს და ვერცხლის (1980) პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ვიქტორ სანეევს.**

## გუშინ...

## კრამნიკი – ტოპალოვი 4:4

იხ. მე-6 გვ.

## ნავსი გატყდა...

„დონბასის ღია თასის“ (ევროპის თასის) გათამაშება სასტენდო სროლაში უკრაინის ქ. დონეცკში გაიმართა. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ასპარეზობაში მონაწილე 8 ქვეყნის 45 სპორტსმენთა შორის კვლავ ვიხილეთ ქართველი მესტენდურეები (დელეგაციის ხელმძღ. საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **თამაზ იმნაიშვილი**). ასპარეზობა ჩატარდა ოლიმპიურ ვარჯიშთა პროგრამით სასანგრე სტენდში (გოგონები) და მრგვალ სტენდში (ვაჟები). გოგონათა შორის კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრების წევრი **მაია გუბიევა,** რომელიც დაეუფლა ბრინჯაოს მედალს, „დონბასის თასს“ და ფულად ჯილდოს 500 დოლარს. მრგვალ სტენდში მოასპარეზე (ამჟამად მოსკოვში მცხოვრები) **პავლე ლაკია** (134 ქულა) ახლოს იყო მესამე ადგილთან, მაგრამ მეტოქესთან ქულათა თანაფარდობის გამო დამატებით სროლებში 1 ქულით ჩამორჩა კონკურენტს და IV ადგილზე გავიდა. ჩვენი გუნდის მესამე წევრი **დავით ქვათაძე** ამავე ვარჯიშში IX იყო. ასე რომ, სამკაციანი გუნდით მოპოვებული შედეგები შეიძლება დამაიმედებლად ჩაითვალოს, რადგან ამიერიდან ჩვენს მესტენდურეებს აღარ მოუწევთ შეჯიბრებების გამოტოვება (ფედერაცია დაპირებას იძლევა), რაც იმის გარანტიაა, რომ სპორტის ამ სახეობაში წარმატებები იქნება და ტრადიციებიც აღდგება.

ქართველ მესტენდურთა ასპარეზობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **გივი ბოსტოღანაშვილმა.**

**ომარ ჩხაიძე.**

## განახლებულ დარბაზში „ლელოცაა“ წარმოდგენილი

29 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე განახლებული ისტორიული სპორტული დარბაზი, რომელიც თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა ერთხანს თავჩენილი გაუგებრობების შემდეგ კვლავ დაიბრუნა და ახლა აქ გ. კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრია გახსნილი.

განახლებული დარბაზი საზეიმოდ გახსნა თბილისის მერმა **გიგი უგულავამ.** შემდეგ მან დაათვალიერა გამოფენა, სადაც ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი თბილისელი სპორტსმენების ფოტოებია წარმოდგენილი. ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **ზაზა დოლიძის** თაოსნობით, პირველად, ცალკე კუთხე დაეთმო XX საუკუნის საუკეთესო სპორტულ გაზეთ „ლელოს“. იქვეა გამოფენილი ამ გაზეთის ყველა რედაქტორის პორტრეტი.

გიგი უგულავას შემდეგ სიტყვით გამოვიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **გურამ საღარაძე,** რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ თბილისის მერია იმავე უბანში მდებარე ე.წ. „პეტრეს დარბაზსაც“ გაარემონტებს.

ბოლოს გიგი უგულავა ჟურნალისტებს „ლელოს“ სტენდთან ესაუბრა.

## რეკაპიტულაცია პირველი

### „ჰანზა“ – საქართველოს ნაკრები 0-0

საქართველოს ეროვნული ნაკრები სასტუმრო „ჰიუბნერში“ სრული შემადგენლობით 3 ოქტომბერს შეიკრიბა და 5 ოქტომბრამდე ინტენსიურად ვარჯიშობდა. გუშინ კი გერმანული შეკრების პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა როსტოკის „ჰანზასთან“. მატჩი როსტოკიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარე დაბა კიულუნგსბორნში ჩატარდა. ფეხბურთელების ტრავმებითა და დისკვალიფიკაციებით შეფიქრიანებულმა ქართველთა გერმანელმა თავკაცმა **კლაუს ტოპმიოლერმა** „ჰანზასთან“ საპაექროდ, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა. თუმცა, მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების მზადყოფნა კიდევ ერთხელ შეამოწმა. გუშინ არ უთამაშია მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს, მაგრამ ნაკრების ყოველდღიურ ვარჯიშებში ისინი მონაწილეობენ და საბედნიეროდ, ჯანმრთელად არიან. ნაკრებს დღეს დასვენების დღე აქვს. ხვალ კი როსტოკის „ოსტსეეშტადიონზე“ თბილისის დროით 22 საათზე ჩვენი ეროვნული ნაკრები გერმანიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მოგეხსენებათ, ჩვენებურები იტალიელებთან მატჩისათვის, ხოლო გერმანელები სლოვაკებთან შესახვედრად ემზადებიან, მაშინ, როდესაც ქართველები და გერმანელები მინდორზე „იამხანაგებენ“, ჩვენი მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავენ. თბილისში ჩამოსვლამდე იტალიელები უკრაინელებს უმასპინძლებენ, შოტლანდიელები ფრანგებს დაუხვდებიან, ფარერის კუნძულებზე კი ლიტვა ჩავა. აქვე უპრიანია გავიხსენოთ ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობაც.

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი**

**7 ოქტომბერი**

იტალია — უკრაინა
შოტლანდია — საფრანგეთი
ფარერები — ლიტვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0-12 | 0 |

სამწუხაროდ, ხვალ ბუნდესნაკრებთან მატჩში ქართველებს ვერ შეეშველებიან: **მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი და შოთა არველაძე.** მალხაზის ამბავი იცით, იგი ექვსი თვე ვერ გავა მინდორზე, დათოც და შოთაც მძიმედ დაშავდნენ და გერმანელებთან ვერც ისინი ითამაშებენ. მათი იტალიელების წინააღმდეგ ასპარეზობაც საეჭვოა. ასევე, მუხლი აწუხებს და ნაკრებს გამოაკლდა მეკარე **ნუკრი რევიშვილი.**



მოკლედ, ხვალინდელი სპარინგისთვის ქართველთა ეს შემადგენლობა მოემზადება.

**საქართველოს ეროვნული ნაკრები**

**მეკარეები** — გიორგი ლომაია, გრიგოლ ჭანტურია.

**მცველები** — კახა კალაძე, დავით კვირკველია, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა ალადაშვილი, გოგიტა გოგუა, მათე ღვინიანიძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით იმედაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი.

**ნახევარმცველები** — ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ჯაბა კანკავა, შოთა გრიგალაშვილი.

**თავდამსხმელები** — მიხეილ აშვეთია, ალექსანდრე იაშვილი, ვასილ გიგიაძე, გიორგი დემეტრაძე, ირაკლი მოდებაძე, ო. მარცვალაძე.

რაც შეეხება გუშინდელ საკონტროლო მატჩს „ჰანზასთან“, იგი საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ლომაია, ღვინიანიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, გოგუა, ცქიტიშვილი, კანკავა, აშვეთია, დემეტრაძე, გიგიაძე, მოდებაძე.

შეხვედრა როგორც დაიწყო ისე დამთავრდა. გერმანული გუნდი და ქართული ნაკრები „მშვიდობიანად“ დასცილდნენ ერთმანეთს. მატჩი ფრედ 0-0 დასრულდა.

მეორე ტაიმში კლაუს ტოპმიოლერმა შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. ლომაიას, შაშიაშვილის, გოგუას, ცქიტიშვილის, ჯ. კანკავას, აშვეთიას და დემეტრაძის ნაცვლად მინდორზე გავიდნენ: გ. ჭანტურია, ამისულაშვილი, იმედაშვილი, გრიგალაშვილი, ო. მარცვალაძე, ა. იაშვილი, კ. ალადაშვილი.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

## უეფას აღმასკომის სხდომაზე...

**ლიუბლიანაში უეფას აღმასკომის სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა.** კერძოდ, უეფას ჩემპიონთა ლიგის 2008 წლის გათამაშების ფინალს მოსკოვი უმასპინძლებს. 2009 წლისას კი რომის ოლიმპიური სტადიონი. გუშინ ცნობილი გახდა უეფას ახალი წევრის ვინაობა — ჩერნოგორია. ჯერჯერობით მას დროებითი წევრის სტატუსი მიენიჭა. უეფას წევრობას ითხოვდა გიბრალტარი, მაგრამ მისი საკითხის განხილვა 7-8 დეკემბრისთვის გადადეს.

## ანელკა საფრანგეთის ნაკრებში გამოიძახეს

**საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დომენეკმა, შოტლანდიისა და ფარერის კუნძულების გუნდებთან მატჩებისათვის გამოიძახა ინგლისურ „ბოლტონში“ მოთამაშე ნიკოლა ანელკა. მას ამა წლის მარტის შემდეგ ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ ანელკამ საფრანგეთის ნაკრების მაისური 31-ჯერ მოირგო, რომლის დროსაც მეტოქეთა კარი 7-ჯერ დალაშქრა.**

საქართველოს XVIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### რეგიონალური ლიგა

## გუშინ...

**ცენტრალური. VI ტური**

ვარძია — ლიახვი 1-0
ამირანი — ზოოვეტი (გადაიდო)
მესხეთი2 — თ.ს. აკადემია 2-3
35-ე სკ. — მაუდი 2-1
არაგვი — ცხინვალი (გადაიდო)
მერანი2 — ოლიმპიკი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 4 | 4 | 0 | 0 | 7-3 | 12 |
| მერანი-2 | 5 | 3 | 2 | 0 | 13-5 | 11 |
| ოლიმპიკი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-5 | 10 |
| ბორჯომი2 | 5 | 3 | 0 | 2 | 11-5 | 9 |
| ზოოვეტი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| 35-ე სკ. | 6 | 2 | 2 | 2 | 8-12 | 8 |
| მესხეთი2 | 6 | 2 | 1 | 3 | 9-7 | 7 |
| მაუდი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-20 | 7 |
| თ.ს. აკადემია | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| არაგვი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| ლიახვი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| ვარძია | 6 | 1 | 0 | 5 | 3-21 | 3 |
| ამირანი (თბ) | 5 | 0 | 3 | 2 | 5-7 | 3 |

## რაიკაარდი: „რონალდინიო მანქანა არაა“

ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელს, ფრანკ რაიკაარდს არ აღელვებს ბოლო პერიოდში რონალდინიოს სუსტი თამაში. „გასაგებია, რომ სუსტად გამოიყურება, მაგრამ განგაშის ატეხვა ამაზე სისულელეა. ის ყველაფერს აკეთებს თავისი გუნდისათვის და ესეც საკმარისია. რონალდინიო „ბარსელონას“ წამყვანი მოთამაშეა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის მანქანა არაა და არც რობოტი. ის ჩვეულებრივი ადამიანია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუმინეთი – საქართველო. მსოფლიო თასი

# ხვალ მატჩია...



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის რუმინეთთან მატჩისათვის მზადება პარიზთან ახლოს ქალაქ მასიში გაიარა. სამწუხაროდ, ტრავმების გამო მოედანზე ვერ ვიხილავთ **აქვსენტი გიორგაძეს, პალიკო ჯიმშელაძეს, დავით ხინჩაგიშვილს** და საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში წითელი ბარათით გაძევებულ, დისკვალიფიცირებულ **რეზო გიგაურს**. დანაკლისი აქვთ რუმინელებსაც, მათგან თამაშს გამოტოვებენ **პეტრე მიტუ, მარიუს ტინკუ** და **პეტრიშორ ტოდერაშკი.** ბორჯღალოსნების რიგებში საბრძოლო განწყობაა. ნაკრების 22-კაციანი სია ასეთია. **I ხაზი: გოდერძი შველიძე, დავით აშვეთია, დავით ზირაქაშვილი, გიორგი კუთარაშვილი, ავთანდილ კოპალიანი. II ხაზი: ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ვიქტორ დიდებულიძე. III ხაზი: რატი ურუშაძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი, ილია მაისურაძე. 9: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე. 10: ოთარ ბარკალაია. 12-13: ირაკლი გიორგაძე, დავით კაჭარავა, გიორგი კაჭარავა. 11-14: ირაკლი მაჩხანელი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი. 15: მალხაზ ურჯუკაშვილი.**

შეხვედრა ბუქარესტში რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის ხვალ, (7 ოქტომბერს, შაბათს) თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. ამ მატჩში გამარჯვებული პირდაპირ მიიღებს მონაწილეობას 2007 წლის მსოფლიო თასზე, დამარცხებული კი კვლავ გააგრძელებს ბრძოლას საგზურის მოსაპოვებლად.

# „ბაში-აჩუკის" თასი გარდამავალია

**2006 წლის 1 ოქტომბერს საჩხერეში სოფ. სავანეში აკაკის ძიძისეულ ბაღში ახალმოწყობილ საჭიდაო მოედანზე ჩატარდა აკაკი წერეთლის დღისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ქართულ ჭიდაობაში „ბაში-აჩუკის" თასზე. არენაზე 100-მდე მოჭიდავემ იასპარეზა – რაიონის ყველა სოფელმა გამოიყვანა თავისი რჩეულები. იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებიც. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან: საჩხერელი ირაკლი ტალახაძე (40 კგ.), ნიკა ხარშილაძე (45 კგ; სოფ. კორბოული), გიორგი მუმლაძე (50 კგ; სოფ. ჭორვილა), ვაჟა კაპანაძე (55 კგ; საჩხერე), შამანაძე ლადო (60 კგ; სოფ. ჭორვილა), ბესო ცარციძე (70 კგ; სოფ. შომახეთი). აბსოლუტურ წონაში ყველას არსენ მაჭარაშვილმა აჯობა და მანვე დაიმსახურა „ბაში-აჩუკის" თასი ჭედილასთან ერთად. შეჯიბრებას ესწრებოდნენ და პრაქტიკული დახმარება გაგვიწიეს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ბიწკინაშვილმა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იური იმერლიშვილმა, ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ გურამ პეტრიაშვილმა და ეროვნული კატეგორიის მსაჯმა თემურ წამალაშვილმა.**

**ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ყველაზე ტექნიკური და კარგი ჭიდაობისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა ლადო შამანაძე და მისი მწვრთნელი კობა ჯაფარიძე.**

**„ლელოს" მეშვეობით მადლობა გვინდა გადავუხადოთ მხარდაჭერისათვის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყველა წარმომადგენელს.**

**თამაზ ლაშხი,**
**„ლელოს" საკ. კორ. საჩხერე.**

## საავტომობილო სპორტი. იალტის ეტაპი

# ჩვენც გვყავს პრიზიორი ეკიპაჟი

ჩინებულად იასპარეზეს ქართველმა ავტომრბოლელებმა უკრაინის ქალაქ იალტაში გამართულ ევროპის თასის ეტაპზე. ძლიერ და გამოცდილ კონკურენტებთან რბოლაში **მამუკა მელაძისა** და **არჩილ ბიძინაშვილის** ეკიპაჟი „სიტროენ საქსოთი" თავის კლასში ვერცხლის მედალს დაეუფლა. საერთო ჩათვლაში კი IX ადგილი ხვდა წილად. რბოლაში 63 ეკიპაჟი მონაწილეობდა, მაგრამ ფინიშამდე მისვლა 31-მა შეძლო. ასპარეზობაში მონაწილეთა დიდი ნაწილის მანქანა ქართველი მრბოლელებისას სჯობდა, მაგრამ მამუკამ და არჩილმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღეს და შთამბეჭდავ შედეგსაც მიაღწიეს. ქართველთა ეკიპაჟი მიზანდასახულ და დისციპლინირებულ გუნდად დასახელდა. დავძენთ, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებასა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მიღწეულ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს საავტომობილო ფედერაციას (პრეზიდენტი **შალვა ოგბაიძე**).

ქართული ეკიპაჟის ზემოხსენებულ წარმატებაზე და მომავლის გეგმებზე ამ დღეებში იყო საუბარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში, საავტომობილო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე.

## დუდუ დადიანის მემორიალი

# დღეს ფინალია

გაიმართა კალათბურთში დ. დადიანის მემორიალის III ტურის მატჩები. ვერის ბაღის დარბაზში გასულ ოთხშაბათს ერთმანეთს ოთხი გუნდი დაუპირისპირდა. „მაქაბმა" — სსუ-ს 20 ქულის უპირატესობით სძლია 84:64 (20:9, 22:18, 17:18, 25:19); „ავიამშენმა" უფრო სოლიდური ანგარიშით თსუ-ს მოუგო — 100:59 (27:16, 22:13, 28:17, 23:13).

„ბ" ჯგუფში წაუგებლად „აზოტმა" 6 ქულა დააგროვა, მეორეა — თსუ — 5, მესამე — „მაქაბი" — 4, მეოთხე — სსუ — 3.

„ა" ჯგუფში ასეთი ვითარებაა: 1. „ავიამშენი" — 4 ქულა, 2. „დინამო" — 3, და 3. სტუ — 2.

დღეს ფინალში მთავარი პრიზის ბედი გაირკვევა „აზოტისა" და „ავიამშენის" შეხვედრაში. მატჩი დაიწყება 16 საათზე. მესამე ადგილისთვის ითამაშებენ „დინამო" და თსუ (14 სთ), მეხუთე ადგილისთვის „მაქაბი" — „დინამო" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს (12 სთ).

# საჩოგბურთო ვიქტორინა

**1. დაასახელეთ ჩოგბურთელი, რომელმაც გადასახადების გადაუხდელობის ბრალდების გამო სამშობლო დატოვა.**
ა — შტეფან ედბერგი (შვედეთი)
ბ — შტეფი გრაფი (გერმანია)
გ — პიტ სამპრასი (აშშ)
**2. რომელ წელს დაარსდა დევისის თასი?**
ა — 1897 წელს
ბ — 1899 წელს
გ — 1900 წელს
**3. ვის შორის თამაშდება დევისის თასი?**
ა — მხოლოდ ვაჟთა გუნდებს შორის
ბ — მხოლოდ ქალთა გუნდებს შორის
გ — როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს შორის
**4. ვინ იყო ის ჩოგბურთელი, რომელმაც 1989 წელს თავის მოკვლა სცადა?**
ა — მიხაელ შტიხი (გერმანია)
ბ — ბიორნ ბორგი (შვედეთი)
გ — ბორის ბეკერი (გერმანია)
**5. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ისტორიაში რომელ წელს აჩვენა საუკეთესო შედეგი — II ადგილი საქართველოს ნაკრებმა?**
ა — 1959 წელს
ბ — 1963 წელს
გ — 1967 წელს

**წინა ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ.**

## მემკვიდრეობა

# ფრაგმენტები სპორტული ბიოგრაფიიდან

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ სადარაძე.**

ვაგრძელებ ჩემი სპორტული ბიოგრაფიის თხრობას, მკითხველს ვთხოვ არ ჩამომართვას კადნიერებაში.

ჭიდაობა სკოლის კედლებში დავიწყე, თუმცა, მანამდე ტანვარჯიშს ვეზიარე. იქვე, კიროვის სახელობის პარკში (ახლანდელი ვერის ბაღი) იმ დროისთვის მართლაც კარგად კეთილმოწყობილი დარბაზი იყო. თითქმის ერთი წელი ვიარე. შემდეგ გავაგრძელე ჭიდაობის სექციაში სიარული სანაპიროზე, სადაც ამჟამად რესტორანი „არაგვია", იქვე იყო საცურაო აუზი, სადაც ყოველ საღამოს ქალაქის ახალგაზრდობა იკრიბებოდა და იკაჟებდნენ სხეულს. სამსართულიან შენობაში, ჭიდაობის დარბაზის ქვეშ, მეორე სართულზე კრივის დარბაზი იყო განთავსებული. პირველ სართულზე კი ძალოსნები ვარჯიშობდნენ.



1963 წ. ბულგარეთი. მსოფლიო ჩემპიონატი

ნათქვამი რომ არის „კვიცი გვარზე ხტისო", ჩემზეც გამოდგა მისადაგებული. ბიძა — იორამ სადარაძე ჭიდაობდა. იმ პერიოდში გამოირჩეოდა ფიზიკური ძალით, დამარცხებული ჰყავდა ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები. სწორედ მან მიმიყვანა თავის მწვრთნელ შალვა ნოზაძესთან, შესანიშნავ პედაგოგთან და პიროვნებასთან, რომელთანაც დავოსტატდი და მივაღწიე საუკეთესო შედეგებს. საქართველოს პირველობაზე გამარჯვების შემდეგ ვარჯიში გავაგრძელე ეგრეთწოდებულ „პეტრეს დარბაზში" (ადრინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე), ყოფილი ეკლესიის შენობაში. საინტერესოა მართლაც, რომ ღვთის მადლით, ამ დარბაზში აღიზარდნენ და დაოსტატდნენ დიდი ჩემპიონები, როგორებიც იყვნენ: გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, მირიან ცალქალამანიძე, გიორგი სხირტლაძე, როსტომ აბაშიძე, ავთანდილ ქორიძე და სხვა მრავალი.

აქ შევხვდი პირველად იმ დროს ცნობილ მოჭიდავეებს ნუგზარ გოგიბედაშვილს, ჯუმბერ დავლიანიძეს, ვლადიმერ რუბაშვილს, ანზორ გვიმრაძეს და სხვებს. ყველა ერთად ვმეცადინეობდით. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი, სანიმუშო ჭიდაობის ჰარმონიული ოჯახი, სადაც მიიღებდი მაგალითს ზნეობისას და კაცურკაცობისას. იყო აბსოლუტური წესრიგი ამ ოჯახში, უფროს-უმცროსობა და ზრდილობა ყოველთვის დომინირებდა. ზოგიერთი მათგანი აღარ არის ჩვენ შორის, მაგრამ დარჩა საინტერესო მოგონებები და ხსოვნა იმ დიდებული ადამიანებისა.

არ მინდა დამავიწყდეს, რომ მამაც, რეზო სადარაძე ჭიდაობდა და სწორედ მან გვაზიარა თავისი ძმა იორამი და მე სპორტის ამ სახეობას. „ჭიდაობას რა უნდაო" — ნათქვამია. მე ვიტყოდი, თუ უნდა, უპირველესად უნდა ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, სიმამაცე და დაუშრეტელი მიზანსწრაფვა გამარჯვებისკენ, რომელიც ერთგულებს ხელეწიფებათ მხოლოდ.

ჩემი პირველი სერიოზული წარმატება შედგა ცირკში, როდესაც ირანის ნაკრები ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ტურნეს ჩასატარებლად სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის ქ. თბილისში, როგორც ჭიდაობის ერთ-ერთ ცენტრში. აკი ქართველი მოჭიდავეებით კომპლექტდებოდა უმეტესად მაშინდელი სსრკ-ის ნაკრები.

1961 წელი. სახელმწიფო ცირკი. ერთმანეთის პირისპირ დგანან საქართველოს და ირანის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრებები. სტუმართა შორის იყო მსოფლიოში უძლიერესი ოთხი ფალავანი, რომლებმაც სწორედ იმ წელს ისახელეს თავი მე-8 მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში.

ეს იყო დიდ ხალიჩაზე ჩემი პირველი გამოცდა. ცირკში ტევა არ იყო, — სრული ანშლაგი, უამრავი გულშემატკივარი, ყიჟინა, შეძახილები. ჩემს პირისპირ იდგა ირანელთა კერპი იმამალი ჰაბიბი, მსოფლიო ორგზისა და რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. იმ წელს მან ქ. იოკოჰამაში, მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ის, ალბათ, იოლ გამარჯვებას ელოდა ჩემთან, როგორც ახალბედასთან. სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე დიაკინმა მომცა პირობა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ადგილს დავიკავებდი სსრკ-ის ნაკრებში.

ბატონი ვახტანგ ბალავაძე ამ დროს შეუძლოდ იყო (ტრავმა ჰქონდა მიღებული), ისე რომ, ამ წონაში მე უნდა მეტვირთა საქართველოს ნაკრების სახელის დაცვა. გლანდების გამო სიცხიანს, ექიმის ხელწერილის ქვეშ მომიწია შეხვედრა ირანელთა კერპთან. ირანელი იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული, უეცრად წამოვიდა შეტევაზე და კიდეც ამართვა 2 ქულა გდებით — „მელნიცათი". არის ასეთი ტერმინი ჭიდაობაში. ვინ მოიგონა, დღემდე არ ვიცი. გათამამებულმა ჰაბიბმა კიდევ წამოიწყო შეტევა, მაგრამ მისდა სავალალოდ ჰაერში აღმოჩნდა. ორივე ფეხში შევარდნით ავწიე მაღლა, რასაც არ ელოდა და დავუშვი ორ ქულიანზე. გამოცდილება მეტი რომ მქონოდა, მისი ბეჭებზე დაცემაც შეიძლებოდა. იყო სწრაფი, როგორც ვეფხვი, აკი შემდგომში გადაიღეს კიდეც კინოფილმი „მაზანდარელ ვეფხვში". წარმოშობით მაზანდარის მხრიდან იყო. შევატყვე დაიბნა. მომდევნო შეტევისას კიდევ ჰაერში აღმოჩნდა და დაკარგა ორი ქულა. პირველი პერიოდი დამთავრდა 4:3 ჩემს სასარგებლოდ. მეორე პერიოდში მაყურებელი აზარტში უფრო მეტად შევიდა, ცირკის კედლები თითქოს ზანზარებდა, ისეთი ხმაური და ყიჟინა იყო. წუთშესვენების შემდეგ ისევ ირანელი ვეფხვი გადმოვიდა შეტევაზე და ისევ ჰაერში აღმოჩნდა, დაკარგა კიდევ ორი ქულა, ანგარიში გახდა — 6:3. გალოფდა ირანელი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ყველაფერი შეტევაში ჩადო. გამიჭირდა სუნთქვა. ცირკის გუმბათი თითქოს თავზე მეხურებოდა — ისეთი შეგრძნება მქონდა. „გაუძელი, გურამ", — მესმოდა ვლადიმერ რუბაშვილისა და სხვათა შეძახილი. გამეტებული ყვიროდა კოკა მუჯირი, ჩემი სიძე — დის მეუღლე, თბილისში იმ პერიოდში ცნობილი ვაჟკაცი კაცი. თითქოს ვიხრჩობოდი, ჰაერი არ მყოფნიდა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როდის გაილეოდა ეს ოხერი ბოლო წუთები. საჭიდაო ხალიჩაზე ვუყურებდი მხოლოდ შავ სილუეტს, რომელიც გაშმაგებით დამდევდა. „გურამ, გაუძელი!" — ჩამძახოდა ეს ხმა და, აჰა, გონგიც. სიმართლე გითხრათ, გონგის ხმა ვერ გავიგე, ყველაფერი ირეოდა ჩემს ირგვლივ. სსრკ-ის ნაკრების ექიმი გენადი ბაკუშევი მომიახლოვდა, ნიშადურის სპირტითა და რაღაცებით გონს მომიყვანა. ჰაერში ამიტაცეს, მესმოდა ერთი: „გურამ, გურამ!" და მეტი არაფერი. მეორე დღეს აღმოვჩნდი თბილისელ ცნობილ სპეციალისტთან ბატონ ვახტანგ (წოპე) ხურციძესთან. ერთი კ მითხრა: „ყოჩაღ, გურამ, ასეთი ჟლით რომ იჭიდავეო". იგი ესწრებოდა ამ შეხვედრას. მანაც არ „დამინდო", გადმოვიდა შეტევაზე და ორივე გლანდი ხუთ წუთში ამომგლიჯა. თან მომაძახა: „აწი ნახე, შენ რას იზამო". დიდხანს იხაროს ამ მადლიანმა კაცმა და მისმა მარჯვენამ.



გურამ შვილიშვილებთან — რატისთან და ლუკასთან ერთად

ასე დაიწყო ჩემი პირველი სიხარული და კარიერის აღმასვლა. წარჩინებით დავამთავრე მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა. შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ეს წლებიც დაუვიწყარია ჩემთვის, — შესანიშნავი პედაგოგები და ატმოსფერო. სტუდენტობის პერიოდში ვიყავი სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას" წევრი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპორტსაზოგადოება „დინამოში" გადავედი. ეს სპორტსაზოგადოება ქართული სპორტის ფლაგმანი იყო ყოველთვის. აქ აღიზარდა მრავალი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები კი იმ პერიოდში სამაგალითონი იყვნენ და ტონს აძლევდნენ მთელ ქართულ სპორტ

## ტანვარჯიში. საქართველოს ჩემპიონატი

# ვაჟებში ორი მონაწილე...

**ბათუმში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. გოგონებს შორის (სპორტის ოსტატის პროგრამით) პირველი ადგილი 101.425 ქულით დაიკავა ქეთი ბოლქვაძემ (მწვრთ. თემურ ქოიავა, ქორეოგრაფი ეთერ დიასამიძე), ხოლო მეორე ადგილი (100.675) წილად ხვდა ქრისტინე შვენთიძეს (ორივე – ბათ.); მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ნინო ფერაძე, ელისო კონიაშვილი, თეონა გაბისონია, სოფო კაკაშვილი, სოფო ბოდაველი, ეკა კონიაშვილი. ვაჟებში პირველი იყო პაატა ნოზაძე, მეორე – ვასილ საბანაძე.**

# განცხადება

სამაუწყებლო ზონის გაფართოების მიზნით იყიდება FM სიხშირეზე მომუშავე სპორტული რადიოს აქციათა პაკეტი (საჭიროა 50-80 ათასი).
☎ 899-24.55.85

# ფიდეს ეგიდით

ფიდეს ეგიდით სენიორთა ანუ ვეტერანთა (ასპარეზობდნენ 60 წელს გადაცილებული მოჭადრაკეები) მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში ქალთა შორის ჩემპიონობა (8,5 ქულით) მოიპოვა რუსმა დიდოსტატმა **ლუდმილა საუნინამ.** ანალოგიურ ჩემპიონატებში (1998, 1999, 2003 წლებში) გამარჯვებული ჩვენი თანამემამულე დიდოსტატი **თამარ ხმიადაშვილი,** ამჯერად მერვედ დაეუფლა ვერცხლის მედალს. III-IV ადგილები გაიყვეს **ტატიანა ფომინამ** (ესტონეთი) და **ელენა ფატალიბეკოვამ** (რუს). მამაკაცთა შორის გაიმარჯვა **ვიქტორ კორჩნოიმ** (ჰოლანდია), მეორე **ვლასტიმილ იანსაა** (ჩეხ), მესამე — **ლიუბენ სპასოვი** (ბულგ).

## საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1921-1930 წლებში

გასული საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს საქართველოს სპორტსმენებიდან ალპინისტებმა მიაღწიეს. იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართველ ალპინისტთა საამაყო ტრადიციებს. რაც მთავარია, 1923 წლის 23 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა მონაწილეობით მყინვარწვერზე განხორციელებულმა ასვლამ სათავე დაუდო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას, რომლის სამართალმემკვიდრე დღეს რუსეთია. ხსენებული ექსპედიციის, როგორც თავის წიგნში „მთამსვლელობა საქართველოში“ (თბ. 1983) ო. გიგინეიშვილი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ მყინვარწვერს მიაღწიეს ალექსანდრე დიდებულიძის სამედიცინო ექსპედიციის წევრებმაც. გ. ნიკოლაძის ჯგუფიდან მწვერვალზე ავიდა 18 მთამსვლელი, ა. დიდებულიძის ჯგუფიდან — 7“. 30-იან წლებში ქართველ ალპინისტთა ბრწყინვალე მიღწევებს შემდგომში ცალკე შევეხებით.

მყინვარწვერზე პირველი ქართული ექსპედიციის მონაწილენი

დავუბრუნდეთ 20-იან წლებს. გასაბჭოების შემდეგ ისევე, როგორც მთელ რუსეთში (სსრ კავშირი მოგვიანებით შეიქმნა), მის მიერ ანექსირებულ საქართველოშიც ფიზიკური აღზრდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. დიდ ყურადღებას უთმობენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. სავალდებულო ხდება სკოლებში და საწარმოებში ფიზიკური წრეების გახსნა და მუშაობა. გარდა იმისა, რომ პრესის ფურცლებზე სულ მეტი ყურადღება ეთმობოდა ფიზკულტურასა და სპორტს, დღის სინათლე იხილეს ცალკეულმა სპორტულმა გამოცემებმაც, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში.

როდის მოვიდა პირველი სერიოზული წარმატება დიდ სპორტულ სარბიელზე? — ამ კითხვაზე პასუხს იძლევა შ. ახვლედიანის, ჯ. ბაგრატიონის და ნ. გუგუშვილის წიგნი „სპორტი საქართველოში“ (თბ. 1981, გვ. 6): „ოქმების თანახმად საქართველოს სპორტსმენთა პირველი დიდი წარმატება საკავშირო ჩემპიონატებში 1924 წლით თარიღდება. ამ წელს საქართველოს ჰყავდა სსრ კავშირის 9 ჩემპიონი“.

ორგანიზებული ხასიათი ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ საქართველოში განსაკუთრებით მიიღო 1923 წლიდან, როცა პროფკავშირებმა მასობრივად დაიწყეს ფიზკულტურული წრეების შექმნა მუშა-მოსამსახურეებისთვის. დრომ მოიტანა ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის საჭიროება და შეიქმნა კიდეც. ცხადია, ყველაფერი მოსკოვიდან მოდიოდა. 1923 წლის 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე ჯერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რასაც შესაბამისი სტრუქტურის შექმნა მოჰყვა ნაციონალურ რესპუბლიკებში. მერე ამ სტრუქტურამ დაბალი რგოლებიც მოიცვა.

1924 წელს მოსკოვში გაიმართა ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პირველი თათბირი. რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილების მნიშვნელობაზე ადრე უკვე ითქვა. 1928 წლის აგვისტოში მოსკოვში ჩატარდა გრანდიოზული კომპლექსური სპორტული ღონისძიება — საკავშირო სპარტაკიადა. ამ ასპარეზობას წინ უსწრებდა იმავე წელს, სამი თვით ადრე, თბილისში გამართული სრულიად საქართველოს პირველი ფიზკულტურული დღესასწაული, რომელიც ქართული სპორტის ისტორიაში შევიდა. როგორც სრულიად საქართველოს პირველი სპარტაკიადა. საინტერესოა, თუ ვინ მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში. აი ისინიც: თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ფოთი, ახალციხე, გორი, თელავი, ჭიათურა, სენაკი, ზესტაფონი... სულ 650 ფიზკულტურელი.

როგორც ვთქვით, ეს სპარტაკიადა საკავშირო ანალოგიური ასპარეზობის წინმსწრები ღონისძიება იყო, მაგრამ მოსკოვში საქართველო ცალკე დელეგაციით არ გამოსულა. ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ამიერკავკასიის გაერთიანებული გუნდი შექმნეს. საკავშირო სპარტაკიადაში აგრეთვე მონაწილეობდა საზღვარგარეთის მუშათა სპორტული ორგანიზაციების 600-მდე წარმომადგენელი. სულ კი უცხოელებიანად მოსკოვში შეიკრიბა 7600-მდე ფიზკულტურელი.

სპარტაკიადამ ხელი შეუწყო საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენების დაახლოებას. 1929 წელს, თბილისში ჩამოდიან ფრანგი მუშა-ველოსიპედისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის პირველობაში. ცხადია, მჭიდრო ურთიერთობას ეყრებოდა საფუძველი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. იმავე, 1929 წელს თბილისელი ჩოგბურთელები ხარკოვში ეწვივნენ უკრაინელ კოლეგებს და მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება — 9:0.

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეყრება საფუძველი საქართველოს ჩემპიონატებს. მაგალითად, სრულიად საქართველოს პირველ შეჯიბრებას წყალჯომარდობაში უმასპინძლა ბათუმმა და მასში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და ფოთის ფიზკულტურული კოლექტივების 120 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

1929 წლის 23 სექტემბერს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი დადგენილება გამოიტანა „ფიზკულტურული მუშაობის ძირეული გარდაქმნების შესახებ“. სიტყვა „ძირეული“ თავისთავად მიგვანიშნებს, თუ რა შინაარსის მომცველი იქნებოდა ეს სადირექტივო დოკუმენტი. დარგში გაწეული მუშაობა დადგენილებაში არადამაკმაყოფილებლად იყო შეფასებული. საქმე იმაშია, რომ ადრე მიღებულ დადგენილებაში შეტანილმა მოთხოვნებმა გამოიწვია პარალელიზმი მუშაობაში. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ 1929 წლის დადგენილებაში მკაცრად დაიგმო სპორტულ მუშაობაში თავჩენილი რეკორდსმენული გადახრები. მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მასობრიობაზე და არა მაღალ შედეგებზე სპორტში. რა იყო ეს? — ეს იყო პასუხი მსოფლიო პოლიტიკისა და აქედან გამომდინარე საერთაშორისო სპორტული საზოგადოებრიობის დამოკიდებულებაზე სსრ კავშირისადმი. ცნობილია, რომ არც მსოფლიო პოლიტიკა, არც სპორტული სამყარო არ სცნობდა სსრ კავშირის ლეგიტიმურობას. აკრძალული იყო საბჭოთა სპორტის გაერთიანება საერთაშორისო ფედერაციებში და აქედან გამომდინარე, ისინი არც მსოფლიო, არც ევროპის და არც ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდნენ. ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ზემოხსენებული დადგენილების მიღების შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაავალა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს დაარსება სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციებით. ასეთი ორგანო მართლაც ჩამოყალიბდა 1930 წელს, რასაც მოკავშირე რესპუბლიკებში შესაბამისი სტრუქტურების შექმნა მოჰყვა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

დასაწყ. „ლელო“ №56-ში

---

# ომარ სივორი: «ვინ პელე, ვინ მარადონა... დი სტეფანო!»

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ 50-იანი წლების არგენტინელი ფორვარდი **ომარ სივორი.** ეს ფეხბურთელი (დაიბადა 1935 წლის 2 ოქტომბერს) წარმატებით ასპარეზობდა „რივერ პლეიტში“ (არგენტინა), „იუვენტუსსა“ და „ნაპოლიში“ (ორივე — იტალია). „იუვენტუსთან“ ერთად სამჯერ მოიგო „სკუდეტო“ და ამდენივეჯერ — იტალიის თასის მფლობელიც გახდა. 1959-1960 წლების სეზონში ომარ სივორი სერია „ა“-ს საუკეთესო ბომბარდირი იყო (27 გოლი). ერთ-ერთ მატჩში, კერძოდ, „ინტერთან“ 6 გოლი გაიტანა! ის შეხვედრა „ბებერმა ქალბატონმა“ 9-1 მოიგო. 1961 წელს ომარ სივორი „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა. მან „იუვენტუსის“ შემადგენლობაში 257 მატჩი ჩაატარა და 171 გოლი გაიტანა. ტურინის „იუვენტუსის“ ლეგენდარულმა პრეზიდენტმა და მფლობელმა **ჯანი ანოლიმ** თავის დროზე სივორი გუნდის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა და მიშელ პლატინიზე მაღლაც კი დააყენა.

ომარ სივორი ერთ-ერთი იმ იშვიათი ფეხბურთელთაგანია, რომელმაც ორი ქვეყნის ნაკრებში ითამაშა. 1956-1957 წლებში ის არგენტინის ნაკრების ღირსებას იცავდა — ჩატარებულ 19 მატჩში 6-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. 1957 წელს სამხრეთ ამერიკის თასის მფლობელი გახდა. როცა სივორიმ კარიერა იტალიაში გააგრძელა, ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღო და 1961-1962 წლებში „სკუადრა აძურას“ წევრი იყო — 9 მატჩში რვა გოლი გაიტანა. მონაწილეობდა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატში.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ომარ სივორიმ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით გავიდა არგენტინის ნაკრები მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამჟამად ომარ სივორი ტურინის „იუვენტუსის“ კონსულტანტად მუშაობს. მისი მთავარი ფუნქცია „ბებერი ქალბატონისთვის“ ძლიერი ფეხბურთელების მოძიებაა სამხრეთ ამერიკაში.

გთავაზობთ ომარ სივორის მიერ ინტერნეტსაიტ „სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***ფეხბურთელობისას ბევრი ვარსკვლავი გინახავთ, რომლებიც დღეს უკვე ლეგენდები არიან. ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეზე კამათი მუდამ იყო და იქნება. როგორია თქვენი არჩევანი, პელე თუ მარადონა?***

— ალფრედო დი სტეფანო!

◆ ??

— რატომ გიკვირთ? ჩახედეთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ისტორიას. ვინ მოიგო პირველი ხუთი ტურნირი გასული საუკუნის 50-იან წლებში? ვინ გაიტანა აღნიშნული გათამაშებების ფინალურ მატჩებში გოლები? ეს იყო ალფრედო დი სტეფანო, რომელიც იმ დროს მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა. დი სტეფანოს რეკორდი დღემდე მოუხსნელია. ის იყო დიდი ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეეძლო...

◆ ***50-იან წლებში გოლები ალბათ, იოლად გაჰქონდათ დღევანდელ ფეხბურთთან შედარებით.***

— საიდან მოგაქვთ ასეთი დასკვნები? მენდეთ მე, ომარ სივორის — 50 იან წლებში ვთამაშობდი და გეტყვით საპირისპიროს, მაშინ უფრო რთული იყო მეტოქის კარის აღება. ამას შემდეგნაირად დაგისაბუთებთ: ბოლო პერიოდში მსაჯები დიდ ყურადღებას აქცევენ მცველების მოქმედებას. — მცირე უხეშობის გამოვლენისთანავე მათ ყვითელ ბარათებს უფრიალებენ. კიდევ ახალი წესი მოიგონეს: „უკანასკნელი იმედის ჯარიმა“, რომლის დროსაც დამნაშავეს აძევებენ. გარდა ამისა, ტელევიზიაც აფიქსირებს მცველების უხეშობის მომენტებს... 50 წლის წინათ კი ტელევიზიაც არ იყო და მსაჯებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მცველების უხეშობას. ეს უკანასკნელნი ისე ურტყამდნენ ფეხებში მეტოქე გუნდის თავდამსხმელებს, რომ დღეს არავის დაესიზმრება; იმდროინდელი უხეშობის ფონზე მეტოქის კარის დალაშქვრა მაღალი ოსტატობის ხარჯზე ხდებოდა... ასე რომ, ნუ აკეთებთ დასკვნებს იმ ადამიანების მოსაზრებებიდან, რომლებსაც 50-იანი წლების ფეხბურთი არ უნახავთ.

◆ ***მაშ, თქვენი აზრით, როგორ განვითარდა ფეხბურთი ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში? შეეძლო თუ არა დი სტეფანოს დღეს ეთამაშა ისეთივე წარმატებით?***

— დი სტეფანოსაც შეეძლო და მეც. ჩემი აზრით, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ფეხბურთში არ მომხდარა ისეთი კარდინალური ცვლილებები, რომლებსაც შეეძლოთ ჩემი თაობის ვარსკვლავების „დაკარგვა“ მოედანზე. მე ბევრი მინახავს როგორც მოთამაშეს და როგორც მწვრთნელს და ვიტყვი იმას, რომ მსოფლიო ფეხბურთში რევოლუცია ერთხელ მოხდა — ვგულისხმობ ლეგენდარულ იოჰან კრუიფს და მისი თაობის ჰოლანდიის ნაკრებს. ეს გუნდი ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა, რადგან ორივეჯერ ფინალში ტურნირის მასპინძლებთან დამარცხდა...

◆ ***არის თუ არა არგენტინაში ფეხბურთელი, რომელიც თამაშის მანერით თქვენ გგავთ? ასე მაგალითად, ტევესს დიეგო მარადონას მემკვიდრედ თვლიან...***

— მე ვერ ვხედავ ისეთ ფეხბურთელს, მემკვიდრედ რომ მივიჩნიო. თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე ფეხბურთში გამოკვეთილად არ ჩანს ის პოზიცია, მე რომ ვთამაშობდი 50 წლის წინათ. რაც შეეხება ტევესს, მასზე ბევრს საუბრობენ, თუმცა, ამ პიროვნებას დიდი პრობლემები აქვს საკუთარ თვისებებთან. ამ პრობლემამ შეიძლება ხელი შეუშალოს მას კარიერაში.

◆ ***თქვენ იყავით „ოქროს ბურთის“ ერთ-ერთი პირველი ლაურეატი. 2005 წელს ეს ჯილდო „მილანის“ უკრაინელ ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს მიანიჭეს, შარშან — რონალდინიოს „ბარსელონადან“. რა აზრის ხართ ამ ფეხბურთელებზე, სხვათა შორის, შევჩენკოს მარკო ვან ბასტენის მემკვიდრედ თვლიან?***

— ანდრეი შევჩენკო ბრწყინვალე ფორვარდია. არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგიყვანოს უკრაინელი ფეხბურთელის შედეგიანობამ და პროფესიონალიზმმა, მაგრამ ნუ შეადარებთ ნურავის მარკო ვან ბასტენთან. ჰოლანდიელი იყო იდეალური ფორვარდი. მარკო ვან ბასტენს მივიჩნევ იტალიის სერია „ა“-ს მეორე საუკეთესო ლეგიონერად. პირველი ნომერი კი დიეგო მარადონა იყო. გული დამწყდა, როცა მარკო ვან ბასტენმა ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა სპორტული კარიერა.

რაც შეეხება რონალდინიოს, ის შეუდარებელია. „ბარსელონას“ ბოლოდროინდელ წარმატებებში მას დიდი წვლილი მიუძღვის.

---

## — მატიანე

### 50 წლის წინათ...

**ოჩამჩირე.** რაიონის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ტყარჩელისა და ოჩამჩირის ვეტერან ფეხბურთელთა შორის. მიმზიდველი და საინტერესო მატჩი დამთავრდა ტყარჩელელთა გამარჯვებით, ანგარიშით 7-2.

**გურჯაანი.** „კოლმეურნეს“ ფეხბურთელთა რაიონულ პირველობაში მონაწილეობდა 9 გუნდი. ჩემპიონის სახელი მოიპოვეს სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა.

**მახარაძე.** ქალაქის სტადიონზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი მახარაძის გუნდი და ტურნირში ადრინდელი გამარჯვებული ქობულეთის კოლექტივი. გაიმარჯვეს მახარაძელებმა 1-0.

## „ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი

**ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“.**

---

## „ლელოს“ იურიდიული კონსულტაცია

**კითხვა: ვარ II მსოფლიო ომის I ჯგუფის ინვალიდი. სისტემატურად მესაჭიროება მკურნალობა ძვირადღირებული მედიკამენტებით. მივეკუთვნები რიგითთა შემადგენლობას, რის გამოც ვერ მივიღე ორი სახის პენსია.**

**ადრე თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ სხვა სასიკეთო ცვლილებებთან ერთად, 2005 წლის 1 იანვრიდან პირადად მე და ჩემი მდგომარეობის მქონე სხვა ინვალიდებსაც მოგვეცემოდა ერთდროულად ორი სახის პენსიის მიღების უფლება.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო აღნიშნულ საკითხზე, რომ მძიმე ავადმყოფმა რამდენიმე თვე მაინც მოვასწრო ერთდროულად ორი პენსიის მიღება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის სრულყოფილად ამოქმედება (გავრცელდება რიგითთა შემადგენლობაზეც), რაც საშუალებას მოგვცემდა თქვენი კატეგორიის ომის ვეტერანებზეც დანიშნულიყო ორი სახის პენსია, გადატანილია 2007 წლის 1 იანვრისათვის.

# ფედერაციული ნოვაციები

## ბილეთები დღეიდან გაიყიდება

უჩა უგულავა

ქართველი ქომაგი მოუთმენლად ელის კიდევ ერთ დიდ მატჩს. 9 ოქტომბერს, მსოფლიოს ჩემპიონი — იტალიის ეროვნული ნაკრები ეწვევა თბილისს. 11 ოქტომბერს კი, ქართველი „ჯვაროსნები" იტალიას „სკუადრა აძურას" ეროვნულ სტადიონზე დაუპირისპირდებიან. სწორედ აღნიშნული შეხვედრის ბილეთების გასაღების საკითხებს მიეძღვნა სფფ-ში, ოთხშაბათს გამართული გენერალური მდივნის **უჩა უგულავას** პრესკონფერენცია. ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მესვეურის განცხადებით, ბილეთებთან დაკავშირებული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხორციელდა რამდენიმე სიახლე, რომელიც ბილეთების რეალიზაციას შესამჩნევად მოაწესრიგებს.

**უჩა უგულავა:** „ჩვენ გავითვალისწინეთ ფრანგებთან მატჩის ბილეთების გაყიდვისას წარმოქმნილი ხარვეზები და ამ მხრივ გარკვეული ნოვაციები დავნერგეთ. გადავწყვიტეთ რიყეზე გავხსნათ ოცდაოთხი სალარო. თითოეულ მათგანზე მითითებული იქნება, რომელ სალაროში რა ფასის ბილეთები იყიდება. სპეციალური ჯებირების მეშვეობით გაადვილდება სალაროებთან გულშემატკივართა მისვლა, რათა მათ ბილეთის შეძენა უპრობლემოდ შეძლონ. რიყეზე წესრიგის დასაცავად მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები. კერძო დაცვის სამსახური, პატრული და კრიმინალური პოლიცია. სალაროებთან გაიკვრება დიდი ბანერი ეროვნული სტადიონის სქემატური გამოსახულებით, რითაც ქომაგებს შეეძლებათ თავად აირჩიონ სასურველი სექტორი და შეიძინონ შესაბამისი ბილეთი.

საქართველო — იტალიის შესარჩევი მატჩის ბილეთების გაყიდვა დღეს, 6 ოქტომბერს, რიყეზე 12 საათზე დაიწყება. ბილეთები 11 ოქტომბრის ჩათვლით 12-დან 16 საათამდე გაიყიდება. 10 ოქტომბერს — 12-დან 17 საათამდე. ბილეთების ფასები სექტორების მიხედვით 7, 15, 30, 50 ლარია. 7-ლარიანი ბილეთი 10 000 ცალია, 15 ლარიანი — 15 ათასი, 30 ლარიანი — 13 ათასი, ხოლო 50 ლარიანი — 4000.

იქვე იქნება რამდენიმე დახლი, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ატრიბუტიკა გაიყიდება. ნაკრების მაისურის „დიადორას" ფირმის ორიგინალი 90 ლარის ფარგლებში ელირება. გაიყიდება ნაკრებთან და ფეხბურთთან დაკავშირებული 6-10 ლარის ღირებულების სხვადასხვა ნივთი. სფფ-ს გეგმაში აქვს სამომავლოდ გახსნას სპეციალური მაღაზია, სადაც ნაკრების ატრიბუტიკა მუდმივად გაიყიდება."

თბილისური მატჩის რეპორტაჟის მიღება ამჟამინდელი მონაცემებით ცხრა ევროპულ ქვეყანას სურს.

პრესკონფერენციის ბოლოს უჩა უგულავამ იმედი გამოთქვა, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება და რიყეზე ბილეთების გაყიდვისას პრობლემები არ წარმოიქმნება.

აქვე გთავაზობთ სფფ-ს ოფიციალურ განცხადებას.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

**11 ოქტომბერს საქართველოსა და იტალიის ეროვნული გუნდების შეხვედრაზე დასასწრებ ბილეთებთან დაკავშირებით**

**მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 2006 წლის 6 ოქტომბრის 12 საათზე რიყეზე და დამთავრდება 11 ოქტომბერს 16 საათზე.**

**მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ რიყეზე.**

**ბილეთების ფასებია: 7, 15, 30, 50 ლარი.**

**სალაროები იმუშავებს 12-დან 17 საათამდე.**

**სულ იმუშავებს 24 სალარო, რომლებშიც ბილეთები სექტორებისა და შესაბამისი ფასების მიხედვით გაიყიდება.**

**სალაროებზე მითითებული იქნება, სად რომელი სექტორის ბილეთი იყიდება.**

**თითო სალაროში გაიყიდება მხოლოდ ერთფასიანი ბილეთი.**

**თითოეულ გულშემატკივარს შეეძლება მაქსიმუმ 10 ბილეთის შეძენა.**

**ბილეთები არ იჯავშნება (ამ პრივილეგიით მხოლოდ ფან-კლუბის წევრებმა ისარგებლეს).**

**მატჩზე უბილეთოდ ბავშვები არ დაიშვებიან.**

**მანქანები მხოლოდ საგანგებო საშვებით დაიშვებიან სტადიონის ტერიტორიაზე.**

**მატჩის დღეს, 11 ოქტომბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ყველა ჭიშკარი და შიდა კარი გაიხსნება მატჩის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე, 18 საათზე.**

**6-10 ოქტომბერს რიყეზე, ხოლო 11 ოქტომბერს სტადიონის ტერიტორიაზე განთავსდება სპეციალური დახლები, სადაც გაიყიდება სხვადასხვა ატრიბუტიკა გულშემატკივრებისთვის: მაისურები, დიდი ქუდები, კეპები, დროშები, დასარტყმელი ბუშტები, პლაკატები, სტიკერები, კალენდრები, ჭიქები, გასაღების საკიდები, მატჩის პროგრამები.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელს **ნოდარ კაკულიას.**



## იტალიასთან ბილეთების ფასები ადგილების მიხედვით

**7-ლარიანი**

ჩრდილოეთი ტრიბუნა, I იარუსი IX სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, I იარუსი X სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, I იარუსი, XI სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი, XV სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი, XVII სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, I იარუსი I სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, I იარუსი II სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, I იარუსი, XVII სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, I იარუსი XVIII სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი I სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი II სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი XXX სექტორი

**15-ლარიანი**

სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი III სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი XXVII სექტორი
სამხრეთი ტრიბუნა, II იარუსი XXIX სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი XIII სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი XIV სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი XVIII სექტორი
ჩრდილოეთი ტრიბუნა, II იარუსი XIX სექტორი
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი V სექტორი (რიგი 26-35)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი VI სექტორი (რიგი 26-35)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XI სექტორი (რიგი 26-35)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XII სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XX სექტორი (რიგი 26-35
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXI სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXII სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXIII სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXIV სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXV სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXVI სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი XXVII სექტორი (რიგი 26-35)

**30-ლარიანი**

დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, V სექტორი (რიგი 1-25)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XI სექტორი (რიგი 1-25)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XII სექტორი (რიგი 1-25)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, VIII სექტორი (რიგი 26-35
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XIII სექტორი (რიგი 26-35)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, IX სექტორი (რიგი 26-35)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, X სექტორი (რიგი 26-35)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XX სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXI სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXII სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXIII სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXIV სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXV სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXVI სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, XXVII სექტორი (რიგი 1-25)

**50-ლარიანი**

დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, VII სექტორი (რიგი 1-25)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, IX სექტორი (რიგი 1-25)
დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, X სექტორი (რიგი 1-25)
აღმოსავლეთი ტრიბუნა, I იარუსი, XIV სექტორი

# ჭაბუკთა წარმატებული სტარტი

**ჰაინც ტოპმიოლერის** საქართველოს 19-წლამდე ჭაბუკთა ნაკრებმა რუმინეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დაიწყო. ქართველების პირველი მეტოქე ჩრდილოეთირლანდიელი თანატოლები იყვნენ. მატჩი მწვავე, უშელავათო ორთაბრძოლაში წარიმართა და ჩვენებურთა გამარჯვებით დასრულდა. პირველ ტაიმში ჩვენი ჭაბუკები **ბენაშვილის** მე-40 წუთზე გატანილი გოლით დაწინაურდნენ და ეს მცირე უპირატესობა, საბედნიეროდ, მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. მეორე ტაიმის ბოლო წუთზე ქართველთა გოლკიპერმა **თევდორაძემ** პენალტიც მოიგერია. ჩვენ მოვიგეთ 1-0. ჯგუფის მეორე მატჩში რუმინელებმა 4-2 დაამარცხეს ბელგიელები. გუშინ, მოასპარეზეებმა დაისვენეს. დღეს, მეორე ტურის მატჩები გაიმართება. ბელგიელები ჩრდილოეთირლანდიელებს შეხვდებიან. ჩვენ კი მასპინძლებს, რუმინელებს დავუპირისპირდებით. ქართველთა შემადგენლობა პირველ მატჩში ასეთი იყო: თევდორაძე, თომაშვილი, ელბაქიძე, გვაძაბია (ხიდეშელი, 89), განუგრავა, კვასხვაძე (თოთაძე, 83), ბჟალავა, მჭედლიშვილი, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი (ვ. კვარაცხელია, 78), ბენაშვილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| **საქართველო** | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| **ჩრდ. ირლან.** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| **ბელგია** | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |

„ფეხბურთი—ყველასათვის"

# თაოსნობა გრძელდება

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის (თავ-რე **ი. ბეჟაშვილი**) თაოსნობით სისტემატურად ტარდება ქვეყნის სამინისტროების და სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა ტურნირი მინიფეხბურთში, წარსულში ცნობილი ფეხბურთელების სახელობის პრიზზე, რომლის მიზანია ამ ორგანიზაციებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის განმტკიცება და თანამშრომელთა შორის მდგომარეობის გამყარება.

ამჯერად ტურნირი მინიფეხბურთში ჩატარდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოს" გამოჩენილი ნახევარმცველის, ღირსეული მოქალაქის **გრიგოლ ცაავას** სახელობის თასზე.

ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (თავ-რე **დ. ნამგალაური**), საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი (თავ-რე ი. ბეჟაშვილი), საქართველოს მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია — „სპორტი — ყველასათვის" (პრეზიდენტი **თ. გაჩეჩილაძე**) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **ნ. ახალკაცი**).

მონაწილეობდა სამინისტროების 130 მოყვარული ფეხბურთელი. სპორტკომპლექს „ქარიშხალას" სპორტული კომპლექსი შეჯიბრების პერიოდში სავსე იყო მონაწილე გუნდების თანამშრომლებით.

ქვეჯგუფებში გამარჯვებული 2-2 გუნდი გავიდა ნახევარფინალში. აქ თბილისის მერიის და იუსტიციის სამინისტროს ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა 5-4 (პენლებით) იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა გამარჯვებით. მეორე ნახევარფინალში შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა მოუგო მთავრობის კანცელარიის გუნდს (6-1).

ფინალში შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების საფინალო მატჩში გამარჯვება და მთავარი პრიზი ძალოვნებს დარჩათ 3-1.

მესამე ადგილზე გავიდა მთავრობის კანცელარიის გუნდი.

საუკეთესო მეკარის პრიზი მოიპოვა ფინანსური პოლიციის წარმომადგენელმა **გრიგოლ კვარაცხელიამ**, მცველისა — **ნადიმ კახაძემ** (იუსტიციის სამინისტრო), ბომბარდირისა — **თემურ გიორგაძემ** (მერია), საუკეთესო ფეხბურთელისა — **თორნიკე მუშკუდიანმა** (შსს).

აღსანიშნავია, რომ ტურნირში ყველა მონაწილე კოლექტივი დაჯილდოვდა სამახსოვრო საჩუქრებით და სიგელებით.

პრიზები და სიგელები გადასცეს გრიგოლ ცაავას ყოფილმა თანაგუნდელებმა და ცნობილმა ფეხბურთელებმა: **ვაჟა ჟვანიამ, ოთარ კორღალიძემ, გოჩა ჯამარაულმა, გიორგი ნემსაძემ, დათო მუჯირმა**. გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ**.

ტურნირი ტრადიციული გახდება.

**იუზა ჭარბაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# რეგიონალური ლიგა

**აღმოსავლეთი. VI ტური**

ომც — დურუჯი 0-3
ნ. დინამო2 — ალგეთი 0-0
ფორვარდი — სამგორი 0-9
ჰერეთი — სიონი2 1-2
გაგრა2 — გარეჯი 4-0
ხრამი — თბილისი2 4-0
არაგველები — რუსთავი 3-1
ცხუმი — ოჩამჩირე (გადაიდო)

**დასავლეთი. იმერეთი. IV ტური**

მარგვეთი — მართვე 5-0
ტორპედო2 — უნივერსიტეტი 2-4
დინამო (ქ) — დინამო2 (ბათ) 0-3
სულორი — შუქურა 3-0
მაღაროელი2 — იმერეთი 4-1
კახაბერი — სამტრედია2 1-0

**დასავლეთი. იმერეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-3 | 12 |
| სამტრედია2 | 4 | 3 | 0 | 1 | 12-5 | 9 |
| ტორპედო2 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 9 |
| მარგვეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| მართვე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-7 | 7 |
| სულორი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-10 | 6 |
| შუქურა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| დინამო2 (ბთ) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 5 |
| იმერეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| კახაბერი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| მაღაროელი2 | 4 | 1 | 0 | 3 | 7-12 | 3 |
| დინამო (ქ) | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი2 | 6 | 5 | 1 | 0 | 11-2 | 16 |
| გაგრა2 | 6 | 5 | 1 | 0 | 21-10 | 16 |
| სამგორი | 6 | 4 | 1 | 1 | 21-6 | 13 |
| ცხუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| ჰერეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| ალგეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| თბილისი2 | 6 | 3 | 0 | 3 | 7-11 | 9 |
| ხრამი | 6 | 2 | 3 | 1 | 11-7 | 9 |
| არაგველები | 6 | 2 | 3 | 1 | 11-10 | 9 |
| გარეჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| ოჩამჩირე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| ომც | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |
| რუსთავი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| დურუჯი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 3 |
| ნ. დინამო2 | 6 | 0 | 3 | 3 | 5-9 | 3 |
| ფორვარდი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-19 | 1 |

# „იმედის" თასი

**II ტური**

საუ — დიოსკურია 4-1
გურია — შავნაბადა 3-3
გრეტნა — ნ. დინამო (88) 1-0
თბილისი — ნ. დინამო (90) 1-3
ავაზა — ნ. დინამო (89) 0-2
მთ. გლობუსი — ცხუმი2 2-0
გეორგია-ომც — მერანი 1-1
მიმინო (99) — არაგველები2 1-1
მერანი1 — სპორტ-ლიდერი 3-0

**III ტური**

ნ. დინამო (90) — ავაზა 3-0
არაგველები2 — გრეტნა 3-0
ნ. დინამო (88) — თბილისი 0-3
სპორტ-ლიდერი — გურია 0-2
შავნაბადა — მიმინო (99) 2-0
დიოსკურია — მერანი1 — 1-0
მერანი — საუ (გადაიდო)
ნ.დინამო (89) — მთ. გლობუსი 1-1
ცხუმი2 — გეორგია-ომც (გადაიდო).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ.დინამო (0) | 3 | 3 | 0 | 0 | 12-5 | 9 |
| გურია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| შავნაბადა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| მთ. გლობუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ნ.დინამო (89) | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| არაგველები2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| გეორგია-ომც | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| საუ | 2 | 1 | 1 | 0 | 6-3 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| ნ.დინამო (88) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| დიოსკურია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| მერანი1 | 3 | 1 | 0 | 2 | 3-2 | 3 |
| გრეტნა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-9 | 3 |
| მერანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ავაზა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| სპორტ-ლიდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| მიმინო (99) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| ცხუმი2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

„ქართული ფეხბურთის"
რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლეგენდარული ექსპერტი

მიქაელ ლაუდრუპი დანიური ფეხბურთის სიმბოლოა. ამ ქვეყნის ნაკრებში მან ყველაზე მეტი – 104 მატჩი ჩაატარა და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთხელაც არ გაუძევებიათ მოედნიდან. უეფასათვის საიუბილეო 2003 წელს ლაუდრუპი აღიარეს დანიის საუკეთესო ფეხბურთელად უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში. თავის დროზე ჰავბეკი წარმატებით ასპარეზობდა სამშობლოდან მოშორებით „იუვენტუსში“, „ლაციოში“, მადრიდის „რეალში“ და „ბარსელონაში“. კატალონიურ კლუბთან ერთად 1992 წელს ლაუდრუპმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. იმ ამბიდან შვიდი წლის შემდეგ მიქაელი აღიარეს ესპანეთის პრიმერადივიზიონის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში. რაღაც პერიოდი ლაუდრუპი იაპონურ „ვისელ კობეში“ გამოდიოდა, შემდეგ „აიაქსს“ დაუბრუნდა, სადაც დაასრულა კიდეც კარიერა. ახლა მიქაელ ლაუდრუპმა სცადა მწვრთნელობა, – ის სათავეში ჩაუდგა კიდეც დანიურ „ბრონდბიუს“. 2006 წლის მაისში ლაუდრუპმა ეს პოსტი დატოვა, მაგრამ ფეხბურთისადმი ინტერესი არ განელებია.

◆ ***რას იტყვით უეფას ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ სეზონზე?***

— ყოველთვის საინტერესოა თუ რა ხდება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. მოთამაშეთა ნაწილი გადაღლილია, სხვები ტრავმებს იღებენ. ვფიქრობ, წარმატების მეტი შანსი აქვთ არა მხოლოდ ბრწყინვალე მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდებს, არამედ ისეთებსაც, რომლებსაც გრძელი სათადარიგო სკამი აქვთ, ისე როგორც „ბარსელონას“, „ჩელსის“, „მილანს“, შესაძლოა „რეალსაც“. ზემოთქმულ კლუბებს დიდი შესაძლებლობები აქვთ. რა თქმა უნდა, ხდება სენსაციებიც. არავინ არ იცის, ვინ გავა უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

◆ ***მადრიდის „რეალი“ ამ სეზონს განახლებული შემადგენლობით შეხვდა...***

— სამეფო კლუბისათვის ეს სეზონი მეტად საინტერესოა. გუნდის შემადგენლობაში ზაფხულში უამრავი ცვლილება განხორციელდა. მწვრთნელად დაინიშნა კაპელო. „რეალის“ მაისური მოირგეს კანავარომ, ემერსონმა, დიარამ და ვან ნისტელროიმ. „რეალი“ მეტად ძლიერი გუნდია. კარგად გამოიყურება დაცვა და შუა ხაზი. დიდი არჩევანია თავდასხმაში — „რეალს“ ჰყავს რონალდო, ვან ნისტელროოი, რაული, რობინიო და ა.შ.

◆ ***რას იტყვით თქვენს ყოფილ გუნდზე „ბარსელონაზე“?***

— წარმატების მწვერვალზე ასვლა ყოველთვის ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია ამ მწვერვალზე ადგილის შენარჩუნება. ახალი სეზონი ბარსელონასათვის მეტად მძიმე იქნება. ეს გუნდი ხომ ორ ფრონტზე იბრძვის — პრიმერადივიზიონში და უეფას ჩემპიონთა ლიგაში. „ბარსელონა“ შემტევ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს. ასევე ნახევარდაცვაც. დააკვირდით, როგორ თამაშობს „ბარსელონა“. როცა კატალონიელები ბურთს კარგავენ, მთელი გუნდი პრესინგს მიმართავს. ეს არის „ბარსელონას“ წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო. გუნდი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს.

◆ ***უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობს დანიური „კოპენჰაგენი“, რომელმაც მესამე შესარჩევ რაუნდში სძლია „აიაქსს“...***

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ „კოპენჰაგენი“ „აიაქსს“ მოუგებდა, მაგრამ ფეხბურთელებმა სასწაული მოახდინეს. ჩემპიონთა ლიგაში სულ ბოლოს დანიური კლუბებიდან „ბრონდბიუმ“ ითამაშა, ეს იყო 1998 წელს. მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, მეორე დანიური კლუბი გამოჩნდა პრესტიჟულ ტურნირში.

◆ ***ამ სეზონში ალბათ, უამრავი მატჩის ნახვას აპირებთ...***

— რა თქმა უნდა. მე არც ერთ გუნდს არ ვწვრთნი. მაშასადამე, ბევრი თავისუფალი დრო მექნება და ფეხბურთს სიამოვნებით ვუყურებ. უფრო ესპანური კლუბების მონაწილეობით გამართული შეხვედრებით დავინტერესდები. ესპანეთში შვიდი წელი ვიცხოვრე და ეს ქვეყანა ძალიან შემიყვარდა. გარდა ამისა, ინგლისური კლუბების თამაშიც მაინტერესებს.

◆ ***როგორ აფასებთ დანიის ნაკრების შანსს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე?***

— მძიმე ჯგუფში მოვხვდით. ჩვენთან ერთად თამაშობენ ესპანეთის და შვედეთის ნაკრებები. ორივე გუნდი ფინალში გასვლის პრეტენდენტია.

◆ ***მამათქვენი ფინი თავის დროზე დანიის ნაკრებში ასპარეზობდა. დავიჯეროთ, რომ ლაუდრუპების ოჯახიდან თქვენ ბოლო ფეხბურთელი ხართ, რომელმაც ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისური მოირგო?***

— რატომ? მე ორი შვილი მყავს: მადსი 18-წლამდელთა ნაკრების წევრია, ხოლო ანდრეასი 16-წლამდელთა გუნდში გამოდის. მე ვამაყობ ჩემი შვილებით და სიამოვნებით ვუყურებ მათ თამაშებს. გვარის გამო ისინი დიდ ფსიქოლოგიურ გავლენას განიცდიან. ვიმედოვნებ, რომ მადსი და ანდრეასი მომავალში აუცილებლად მასახელებენ.

## როგორ გამოაცოცხლა გომესმა «ბორდო»

**ჩაუდგა თუ არა სათავეში ფრანგულ საფეხბურთო კლუბ „ბორდოს“, რიკარდო გომესი ყველას დაპირდა, გუნდს უეფას ჩემპიონთა ლიგაში გავიყვანო. მაშინ ცოტა ვინმემ თუ დაიჯერა ბრაზილიელი სპეციალისტის ნათქვამი, მით უმეტეს, რომ 2004-2005 წლების სეზონში „ბორდო“ ძლივს გადაურჩა საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას. მას შემდეგ თორმეტმა თვემ განვლო და სიტუაცია „ბორდოში“ სასწაულებრივად შეიცვალა. გომესის შეგირდები ამჟამად უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იბრძვიან „ლივერპულის“, პსვ „ეინდჰოვენისა“ და „გალათასარაის“ წინააღმდეგ. ახლახან საფრანგეთის მერცხლის პრიზიორის თავკაცმა გომესმა ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი.**

„ბორდოს“ წარმატებების საიდუმლო თავდაუზოგავ შრომაში იმალება. გუნდი ტაქტიკურად ბრწყინვალედაა მომზადებული. გომესი აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ მისი დამსახურება არაა: „წარმატებების მიღწევაში დიდად დამეხმარნენ კლუბის მუშაკები. როცა სათავეში ჩავუდექი „ბორდოს“, ვიგრძენი, რომ ყველანი ჩემგან წარმატებებს ელოდნენ. მე გამიმართლა, რადგან ასეთი მოლოდინის გრძნობის მქონე საზოგადოებაში მოვხვდი“. – ამბობს გომესი.



აშკარაა, რომ ბრაზილიელი სპეციალისტის მოსვლის შემდეგ „ბორდო“ გაძლიერდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს კლუბის ხელმძღვანელობას ბევრი ფული არ დაუხარჯავს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. გომესმა ბრწყინვალე კოლექტივი შეკრა. „მთავარი იყო ის, რომ მოთამაშეებს კარგი მომავლის სწამდათ. მე მათ ვარწმუნებდი საკუთარ ძალებში. ვურჩევდი, რომ თავდაუზოგავად ემუშავათ ყოველდღიურად. ასეთმა დამოკიდებულებამ გაჭრა.“ – აღნიშნავს მწვრთნელი. გომესი თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულ ენაზე. მისი ყოველი სიტყვა დამაჯერებელია. სწორედ ამიტომაც პატივს სცემენ მას მოთამაშეები. დღეს გომესი მოხარულია, რომ მისი შეგირდები ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ. ყოველი მატჩის წინ დიდი აჟიოტაჟი იქმნება. გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელიან ყოველ მატჩს: „ბორდოს“ მონაწილეობით. ახლა ბრაზილიელს ახალი მიზანი აქვს. უნდა როგორმე დაარღვიოს საფრანგეთში „ლიონის“ ჰეგემონია. „მე ერთი ნაბიჯი უკვე გადავდგი. გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გავიყვანე. ახლა გპირდებით, რომ ამ სეზონში „ლიონს“ ოქროს მედლებს წავართმევთ. შარშან ჩემპიონობასთან ახლოს ვიყავით, ვგრძნობ, რომ ადრე თუ გვიან, „ლიონში“ კრიზისი დაიწყება და ჩვენც ამით უნდა ვისარგებლოთ. მანამდე კი მეტოქე ძალზე წინ არ უნდა გავუშვათ.“

## ხვალ ევროპის სტადიონებზე

ხვალ გაიმართება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები. პირველ ჯგუფში დიდი ინტერესით ელიან სერბეთისა და ბელგიის გუნდების დაპირისპირებას. სერბები საკუთარ კედლებში თამაშობენ და ალბათ სამი ქულის მოპოვებას შეეცდებიან. მეორე ჯგუფში იტალია – უკრაინის შეხვედრაა და ამ მატჩის ხილვა ჩვენც შეგვეძლება. იტალიელებს ჯერ გამარჯვება მოპოვებული არა აქვთ. თამაში იტალიაშია და „სკუადრა აძურა“ ალბათ შეძლებს ყოფილი საბჭოელების დამარცხებას. მესამე ჯგუფში ნორვეგიელები ლიდერობენ ორი მოგებით, თუმცა, ახლა ძნელი თამაში ელის სტუმრად საბერძნეთის ნაკრებთან. მეოთხე ჯგუფში ჩეხები დაგეგმილ სამ ქულას აიღებენ აუტსაიდერ სან-მარინოს გუნდთან. ირლანდიელები კი პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდებიან სტუმრად კვიპროსის ნაკრებთან. მეხუთე ჯგუფში ორ-ორი გამარჯვებით ინგლისისა და ისრაელის ნაკრები ლიდერობენ. ინგლისელები, რომლებსაც ჯერ ბურთი არ მიუღიათ საკუთარ კარში, მაკედონელებს მასპინძლობენ, ხოლო ისრაელის ნაკრებს საკმაოდ ძნელი მატჩი ელის მოსკოვში გუუს ჰიდინკის დამოძღვრილ რუსეთის ნაკრებთან. მეექვსე ჯგუფში საინტერესო მატჩია – ლიდერები შვედები საკუთარ მოედანზე მასპინძლობენ ესპანელებს. დასასრულ, მეშვიდე ჯგუფის შესახებ. ჰოლანდიელები, რომლებსაც ორი თამაშის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვთ, სტუმრად დაუპირისპირდებიან ბულგარეთის ნაკრებს. ბულგარელებმა ერთი შეხვედრა მოიგეს და ერთიც ფრე დაასრულეს.

გაგაცნობთ ჯგუფების სატურნირო მდგომარეობას და მატჩების განრიგს.

### I ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| ყაზახეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 16.08.2006 | ბელგია — ყაზახეთი | 0-0 |
| 02.09.2006 | სერბეთი — აზერბაიჯანი | 1-0 |
| | პოლონეთი — ფინეთი | 1-3 |
| 06.09.2006 | აზერბაიჯანი — ყაზახეთი | 1-1 |
| | ფინეთი — პორტუგალია | 1-1 |
| | სომხეთი — ბელგია | 0-1 |
| | პოლონეთი — სერბეთი | 1-1 |
| 07.10.2006 | სომხეთი — ფინეთი | |
| | ყაზახეთი — პოლონეთი | |
| | სერბეთი — ბელგია | |
| | პორტუგალია — აზერბაიჯანი | |
| 11.10.2006 | ბელგია — აზერბაიჯანი | |
| | ყაზახეთი — ფინეთი | |
| | სერბეთი — სომხეთი | |
| | პოლონეთი — პორტუგალია | |

### II ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0-12 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 16.08.2006 | ფარერები — საქართველო | 0-6 |
| 02.09.2006 | საქართველო — საფრანგეთი | 0-3 |
| | იტალია — ლიტვა | 1-1 |
| | შოტლანდია — ფარერ. | 6-0 |
| 06.09.2006 | უკრაინა — საქართველო | 3-2 |
| | ლიტვა — შოტლანდია | 1-2 |
| | საფრანგეთი — იტალია | 3-1 |
| 07.10.2006 | იტალია — უკრაინა | |
| | ფარერები — ლიტვა | |
| | შოტლანდ. — საფრანგ. | |
| 11.10.2006 | უკრაინა — შოტლანდია | |
| | საქართველო — იტალია | |

### III ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 02.09.2006 | მოლდოვა — საბერძნეთი | 0-1 |
| | უნგრეთი — ნორვეგია | 1-4 |
| | მალტა — ბოსნია | 2-5 |
| 06.09.2006 | ნორვეგია — მოლდოვა | 2-0 |
| | ბოსნია — უნგრეთი | 1-3 |
| | თურქეთი — მალტა | 2-0 |
| 07.10.2006 | მოლდოვა — ბოსნია | |
| | უნგრეთი — თურქეთი | |
| | საბერძნეთი — ნორვეგია | |
| 11.10.2006 | ბოსნია — საბერძნეთი | |
| | მალტა — უნგრეთი | |
| | თურქეთი — მოლდოვა | |

### IV ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 14-0 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-4 | 3 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |
| სან-მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-13 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 02.09.2006 | ჩეხეთი — უელსი | 2-1 |
| | გერმანია — ირლანდია | 1-0 |
| | სლოვაკეთი — კვიპროსი | 6-1 |
| 06.09.2006 | სან-მარ. — გერმანია | 0-13 |
| | სლოვაკეთი — ჩეხეთი | 0-3 |
| 07.10.2006 | ჩეხეთი — სან-მარინო | |
| | უელსი — სლოვაკეთი | |
| | კვიპროსი — ირლანდია | |
| 11.10.2006 | ირლანდია — ჩეხეთი | |
| | სლოვაკეთი — გერმანია | |
| | უელსი — კვიპროსი | |

### V ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| ისრაელი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 16.08.2006 | ესტონეთი — მაკედონია | 0-1 |
| 02.09.2006 | ინგლისი — ანდორა | 5-0 |
| | ესტონეთი — ისრაელი | 0-1 |
| 06.09.2006 | რუსეთი — ხორვატია | 0-0 |
| | ისრაელი — ანდორა | 4-1 |
| | მაკედონია — ინგლისი | 0-1 |
| 07.10.2006 | ინგლისი — მაკედონია | |
| | ხორვატია — ანდორა | |
| | რუსეთი — ისრაელი | |
| 11.10.2006 | ხორვატია — ინგლისი | |
| | რუსეთი — ესტონეთი | |
| | ანდორა — მაკედონია | |

### VI ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ჩრდ.ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 02.09.2006 | ესპანეთი — ლიხტენშტ. | 4-0 |
| | ჩრდ.ირლ. — ისლანდ. | 0-3 |
| | ლატვია — შვედეთი | 0-1 |
| 06.09.2006 | ისლანდია — დანია | 0-2 |
| | ჩრდ.ირლ. — ესპანეთი | 3-2 |
| | შვედეთი — ლიხტენშტ. | 3-1 |
| 07.10.2006 | დანია — ჩრდ.ირლანდია | |
| | ლატვია — ისლანდია | |
| | შვედეთი — ესპანეთი | |
| 11.10.2006 | ისლანდია — შვედეთი | |
| | ლიხტენშტ. — დანია | |
| | ჩრდ.ირლანდ. — ლატვია | |

### VII ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ბელორუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| 02.09.2006 | რუმინეთი — ბულგ. | 2-2 |
| | ბელორუსი — ალბანეთი | 2-2 |
| | ლუქსემბ. — ჰოლანდია | 0-1 |
| 06.09.2006 | ჰოლანდია — ბელორუსი | 3-0 |
| | ალბანეთი — რუმინეთი | 0-2 |
| | ბულგარ. — სლოვენია | 3-0 |
| 07.10.2006 | რუმინეთი — ბელორუსი | |
| | ბულგარეთი — ჰოლანდია | |
| | სლოვენია — ლუქსემბურგი | |
| 11.10.2006 | ბელორუსი — სლოვენია | |
| | ლუქსემბ. — ბულგარეთი | |
| | ჰოლანდია — ალბანეთი | |

# სემ კესელი: „კალათბურთში მსოფლიოს მხოლოდ ერთი ჩემპიონატი არსებობს – ნბა-ს ფლეი-ოფი“

**კესელი ნბა-ს კლუბ „კლიპერსის“ ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეა. 36 წლის გამთამაშებელი ნბა-ს ორგზის ჩემპიონია. ეს წოდება მან „ჰიუსტონთან“ ერთად მოიპოვა 90-იან წლებში. კესელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს „კოლიპერსის“ შემადგენლობაში. ხშირად არის, რომ თანაგუნდელებთან შედარებით, როგორც ვარსკვლავი, ნაკლებს ვარჯიშობს. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება კესელის მიერ „სპორტისათვის“ მიცემული ინტერვიუ.**

◆ ***რა მიზანს ისახავს „კლიპერსი“ 2006-2007 წლების სეზონში?***

— ლოს-ანჯელესი საკალათბურთო ქალაქია. გულშემატკივრები ჩვენგან გამარჯვებებს ელიან. ჩემი აზრით, ჩემპიონობისათვის ბრძოლა შეიძლება. ამ მიზნისაკენ გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს.

◆ ***როგორი შეხედულება გაქვთ ევროპულ კალათბურთზე?***

— ევროპაში ცოტა სხვანაირად თამაშობენ. ეს ეხება დაცვას და მისწრაფებას სამქულიანი სროლებისაკენ.

◆ ***მსოფლიო ჩემპიონატში არ გითამაშიათ. უყურებდით თამაშებს ტელევიზორის საშუალებით?***

— ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი აშშ-ის ნაკრები დამარცხდა (!). ეს მე სულაც არ მაღელვებს, ვინაიდან, ჩემი აზრით, არსებობს მსოფლიოს მხოლოდ ერთი ჩემპიონატი — ნბა-ს ფლეი-ოფი, რომელიც ივნისში მთავრდება. ამის შემდეგ დასვენების დროა. ვისვენებ ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარს შვილები. ამიტომაც არ დამაინტერესა მსოფლიო ჩემპიონატმა. ხომ ვერ მეტყვით, რომელი ადგილი დაიკავა აშშ-ის ნაკრებმა?

◆ ***მესამე.***

— არცთუ ცუდი შედეგია. მე რომ ვყოფილიყავი, ალბათ, პირველ ადგილს ავილებდით.

◆ ***იქნებ აშშ-ის ნაკრებს პეკინის ოლიმპიურ თამაშებში დაეხმაროთ?***

— რატომ უნდა დავიტვირთო ზედმეტად თავი?

◆ ***თქვენი კარიერის განმავლობაში ხშირად იცვლიდით გუნდებს. „კლიპერსი“, ეს ბოლო „სავანეა?“***

— შვიდი კლუბი გამოვიცვალე. ახლა 36 წლის ვარ, მაგრამ არ ვიცი, დავამთავრებ თუ არა კარიერას „კლიპერსში“. კიდევ მაქვს თამაშის უნარი. ჯერჯერობით მინდა, რომ „კლიპერსთან“ ერთად მესამედ გავხდე ნბა-ს ჩემპიონი. მერე ვნახოთ...

◆ ***თქვენს კარიერას თუ გადავხედავთ, ყველაზე ბრწყინვალე ეპოქა „ჰიუსტონში“ გატარებული წლებია...***

— მართალია. ორჯერ გავხდი ჩემპიონი. ეს ბევრისთვის მიუღწეველი ოცნებაა.

◆ ***დღეს გაქვთ ურთიერთობა ძველ თანაგუნდელებთან?***

— რა თქმა უნდა.

◆ ***ჰაკიმ ოლაჯუვონთანაც?***

— დიახ.

◆ ***რას საქმიანობს ამჟამად იგი?***

— ჰაკიმი ძალიან მდიდარი ადამიანია. არ არის მისთვის აუცილებელი რაიმე საქმით დაკავება.

◆ ***კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?***

— ამაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია. მაგრამ ვიცი ამის დროც, დადგება.

აქვე გთავაზობთ მცირე ინტერვიუს „კლიპერსის“ ამჟამინდელი შემადგენლობის უდავო ლიდერთან ელტონ ბრენდთან. ის გასულ სეზონში მეტად შედეგიანად თამაშობდა. საშუალოდ მატჩში 24,7 ქულას აგროვებდა და ათჯერ ხსნიდა ბურთს ფარიდან. ბრენდი აშშ-ის ნაკრების ცენტრფორვარდი იყო მსოფლიო ჩემპიონატში.

◆ ***კიდევ ერთხელ გაიხსენეთ მსოფლიო ჩემპიონატი.***

— სამწუხაროდ, მესამე ადგილი ავიღეთ, არადა, მსოფლიო ჩემპიონობის იმედი გვქონდა. ახლა ეს უკვე ისტორიაა. მოუთმენლად ველი ნბა-ს ახალი სეზონის დაწყებას.

◆ ***აიღებს აშშ-ის ნაკრები რევანშს ორი წლის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში?***

— თუ ნაკრებში მიმიწვევენ, აუცილებლად ვითამაშებ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩინეთიდან ოქროს მედლით დავბრუნდე. თქვენი კარიერის განმავლობაში „არასაკალათბურთო“ ჯილდო მიიღეთ.

◆ ***მოედნის გარეთ კორექტული მოქმედებებისათვის 2002 წელს გადმოგცეს მეჯიკ ჯონსონის სახელობის პრიზი, ხოლო ამა წლის გაზაფხულზე — ჯო დუმარსის დაწესებული ჯილდო.***

— ამერიკაში ორივე პრიზი მეტად პოპულარულია. ვამაყობ, რომ ეს პრიზები მივიღე — პირველი ჟურნალისტების, მეორე მოთამაშეთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ელტონ ბრენდს პატივს სცემენ. მე საქველმოქმედო საქმიანობასაც ვეწევი. დავაარსე სპეციალური ფონდი, რომელიც ბავშვებზე ზრუნავს. ვატარებ მასტერ კლასს ღარიბი ბავშვებისათვის.

◆ ***რა მიზანი გაქვთ ამ სეზონში?***

— ძალიან მინდა „კლიპერსთან“ ერთად ნბა-ს ფინალში გამარჯვება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

6 – 8
ოქტომბერი

**6 ოქტომბერი, პარასკევი**

EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (10.30). ფეხბურთი. ევრო-2008-ის ჟურნალი (11.00). ევროპის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო მატჩები (11.30). ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი შტუტგარტში (17.30). ფეხბურთი. ევრო-2008-ის საკვალიფიკაციო მატჩები (18.15). ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი (18.30). ძალოსნობა (22.30). პლანეტის უძლიერესი ადამიანები (1.00). ექსტრემალური სპორტი (2.30). EUROSPORT2. ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (18.00). ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი (21.30). **„პლანეტა – სპორტი“.** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (6.00). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (8.00). ავტოსპორტი (9.45). ბილიარდი. ევრაზიის ქალაქების გრან პრი (12.15). ფეხბურთი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (17.45). სპორტული ცეკვები (21.00).

**შაბათი, 7 ოქტომბერი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. გერმანია — საქართველო (22.00). ევრო-2008. შესარჩევი მატჩი. იტალია — უკრაინა. EUROSPORT. ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (10.30). ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00). ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი (12.00). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.15). ფეხბურთი. ევრო-2008-ის საკვალიფიკაციო მატჩები (14.00). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი შტუტგარტში (15.00). ძალოსნობა (18.30). ფეხბურთი. (18.45). კრივი (0.00). ექსტრემალური სპორტი (1.00). EUROSPORT2. ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (13.30). ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი (14.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30). ავტოსპორტი (17.30). ფეხბურთი. ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩები (18.00). ჩოგბურთი. (23.00). **„პლანეტა – სპორტი“.** ბილიარდი. ევრაზიის ქალაქების გრან პრი (11.50). ცხენოსნობა. კონკური. გრან პრი (13.55). რაგბი (17.25). სპორტის მატიანე (19.00). პირველი ახალგაზრდული სპარტაკიადა (19.30). ტრიატლონი. ევროპის თასი (21.30). სპორტული ცეკვები (23.45).

**კვირა, 8 ოქტომბერი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** მსოფლიო რაგბი (16.00). რუსთავი-2. ფეხბურთი. ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩები. ლიტვა — ფარერები (13.20), ინგლისი — მაკედონია (15.20). უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო მატჩები (10.30, 13.00, 21.45, 00.45). ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (11.15). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (15.00). ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ფინალი (19.00). ველოსპორტი (20.30). EUROSPORT2. ფორმულა-3000 (12.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.15). ფეხბურთი. ევრო 2008 საკვალიფიკაციო მატჩები (14.15). ჩოგბურთი. (23.00). **„პლანეტა – სპორტი“.** რაგბი (4.40). სპორტის მატიანე (6.00). ახალგაზრდული სპარტაკიადა (6.45). ტრიატლონი. ევროპის თასი (8.45). ცხენოსნობა (9.10). სპორტული ცეკვები (10.05). ბილიარდი. ევრაზიის ქალაქების გრან პრი (11.50). ავტოსპორტი (13.25).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 8. პორტუგალიის საფეხბურთო გუნდი, 10. სამაგიდო თამაში, 11. ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელის კინის სახელი, 12. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი, 13. ცნობილი რუსი ფეხბურთელი, იყო სსრკ ნაკრების კაპიტანი, 18. ვეტერანი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, რუუდ... 19. ცნობილი ქართველი ფალავანი, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 21. ტანვარჯიშული იარაღი, 23. ევროლიგის საკალათბურთო გუნდი, 24. „მილანის“ მთ. მწვრთნელი, 25. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 26. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 27. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი ძალოსანი.

**შვეულად:** 1. სახელი, რომელიც ერთ დროს დაერქვა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს, 2. წონის ერთეული, რომლითაც საზღვრავენ მოკრივის ხელთათმანის წონას, 3. ცნობილი პრომოუტერი, 4. ევროპის 1994 წლის ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 5. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. სპორტსმენთა თამაშის ძალის შეფასების ინდივიდუალური კოეფიციენტი, 7. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 9. უნაგირის ატრიბუტი, 14. კრივით განთქმული სოფელი ქართლში, 15. საფეხბურთო სპეციალისტ ქაქეს სახელი, 16. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 17. ბადმინტონის ბურთი, 20. „ინტერის“ ფეხბურთელი, 21. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 22. საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთ. მწვრთნელი.



მოამზადა
ნოდარ ჯაჭვაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კოშკი, 3. მადრიდი, 7. პიერო, 8. სტუ, 9. ხარიხა, 11. პრესინგი, 14. ანთაძე, 16. რევიზია, 17. ექო, 21. ლი, 23. შარკო, 24. არაყიშვილი.

**შვეულად:** 1. კლინსმანი, 2. შარაპოვა, 3. მატჩი, 4. რეხვიაშვილი, 5. დურდიაძე, 6. მხარი, 10. ვენგერი, 13. „არგო“, 15. „ავარა“, 17. ქულა, 19. ოში, 20. დრო, 21. ლოუ, 22. ევა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

# ტუალეტის საიდუმლო ამოხსნილია. ანგარიში გათანაბრდა 4:4

მსოფლიო საჭადრაკო ტიტულისათვის მატჩის მეშვიდე პარტია ვლადიმირ კრამნიკსა და ვესელინ ტოპალოვს შორის ყაიმით დასრულდა. ამით კრამნიკმა შეინარჩუნა ანგარიშში მინიმალური უპირატესობა. შეგახსენებთ, რომ სულ მეტოქეებმა 12 პარტია უნდა გაითამაშონ, შედეგის მიხედვით გამოვლინდება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი. სპეციალისტები კრამნიკ-ტოპალოვის დაპირისპირებას „საუკუნის მატჩს“ უწოდებენ, რომლის საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარია. მატჩის შედეგის მიუხედავად, მოჭადრაკეები 500-500 ათას დოლარს მიიღებენ.

მეშვიდე პარტიაში კრამნიკი შავი ფიგურებით თამაშობდა. მან უკვე მერამდენედ მოახერხა თავისი ოპონენტის შეტევების განეიტრალება... ბულგარელმა ტოპალოვმა მართლაც შესანიშნავად გაითამაშა დებიუტი, მიიღო პერსპექტიული შემტევი პოზიცია და მოსაფიქრებელი დროც საკმარისი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ „დაცხრა“ და კრამნიკს საშუალება მისცა, „აეგო“ საიმედო „დაცვითი“ პოზიცია. საბოლოოდ მეტოქეები დაზავდნენ.

„ტუალეტის“ სკანდალს უკვალოდ არ ჩაუვლია. მეშვიდე პარტიის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ ვლადიმირ კრამნიკმა ფიდეს ხელმძღვანელობას უნდა უჩივლოს. საქმე ეხება მატჩის ანგარიშს — ცნობილია, რომ კრამნიკი მე-5 პარტიის სათამაშოდ არ გამოცხადდა, რის შესახებაც წერილობით აცნობა კიდეც ფიდეს, მაგრამ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა გაცდენა კრამნიკს არასაპატიოდ, ხოლო ტოპალოვს მოგება ჩაუთვალა. ფიდეს ხელმძღვანელის ასეთმა გადაწყვეტილებამ კრამნიკი გაანაწყენა.

უფრო ხმაურიანი განცხადება გააკეთა ვესელინ ტოპალოვის მენეჯერმა სილვიო დანაილოვმა. გააანალიზა რა პირველი ოთხი პარტია, აღმოაჩინა, რომ კრამნიკის სვლების უმრავლესობა ემთხვეოდა კომპიუტერული პროგრამა „ფრიც 9“-ის მოქმედებებს. გამოდის, რომ კრამნიკი ტუალეტში კომპიუტერს იყენებდა? დანაილოვის ამ განცხადებას კრამნიკის მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია...

გუშინ მეტოქეებმა მერვე პარტია გაითამაშეს. ტოპალოვი ამჯერადაც რისკზე წავიდა, ამჯერად კრამნიკმა შეცდომა დაუშვა და დამარცხდა.

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა 4:4.

**ტოპალოვი – კრამნიკი**

**მეშვიდე პარტია**

**1. d4 d5 2. c4 c6 3. Nf3 Nf6 4. e3 e6 5. Bd3 dxc4 6. Bxc4 c5 7. O-O a6 8. Bb3 cxd4 9. exd4 Nc6 10. Nc3 Be7 11. Re1 O-O 12. a4 Bd7 13. Ne5 Be8 14. Be3 Rc8 15. Rc1 Nb4 16. Qf3 Bc6 17. Qh3 Bd5 18. Nxd5 Nbxd5 19. Rcd1 Rc7 20. Bg5 Qc8 21. Qf3 Rd8 22. h4 h6 23. Bc1 Bb4 24. Rf1 Bd6 25. g3 b6 26. Qe2 Ne7 27. Rfe1 Bxe5 28. dxe5 Rxd1 29. Qxd1 Nfd5 30. Bd2 Rc5 31. Qg4 Nf5 32. Qe4 b5 33. h5 bxa4 34. Qxa4 Rb5 35. Rc1 Qb7 36. Bc2 Nb6 37. Qg4 Rxb2 38. Be4 Qd7 39. Be1 Nd5 40. Bd3 Nb4 41. Bf1 Nd3 42. Qd1 Nxe5 43. Qxd7 Nxd7 44. Rc8+ Kh7 45. Rc7 Rb1 46. Rxd7 Rxe1 47. Rxf7 a5 48. Kg2 Kg8 49. Ra7 Re5 50. g4 Nd6 51. Bd3 Kf8 52. Bg6 Rd5 53. f3 e5 54. Kf2 Rd2+ 55. Ke1 Rd5 56. Ke2 Rb5 57. Rd7 Rd5 58. Ra7 Rb5 59. Bd3 Rd5 60. Bg6 1/2-1/2**

**კრამნიკი – ტოპალოვი**

**მერვე პარტია**

**1. d4 d5 2. c4 c6 3. Nf3 Nf6 4. Nc3 e6 5. e3 Nbd7 6. Bd3 dxc4 7. Bxc4 b5 8. Be2 Bb7 9. O-O b4 10. Na4 c5 11. dxc5 Nxc5 12. Bb5+ Ncd7 13. Ne5 Qc7 14. Qd4 Rd8 15. Bd2 Qa5 16. Bc6 Be7 17. Rfc1 Bxc6 18. Nxc6 Qxa4 19. Nxd8 Bxd8 20. Qxb4 Qxb4 21. Bxb4 Nd5 22. Bd6 f5 23. Rc8 N5b6 24. Rc6 Be7 25. Rd1 Kf7 26. Rc7 Ra8 27. Rb7 Ke8 28. Bxe7 Kxe7 29. Rc1 a5 30. Rc6 Nd5 31. h4 h6 32. a4 g5 33. hxg5 hxg5 34. Kf1 g4 35. Ke2 N5f6 36. b3 Ne8 37. f3 g3 38. Rc1 Nef6 39. f4 Kd6 40. Kf3 Nd5 41. Kxg3 Nc5 42. Rg7 Rb8 43. Ra7 Rg8+ 44. Kf3 Ne4 45. Ra6+ Ke7 46. Rxa5 Rg3+ 47. Ke2 Rxe3+ 48. Kf1 Rxb3 49. Ra7+ Kf6 50. Ra8 Nxf4 51. Ra1 Rb2 52. a5 Rf2+ 0-1**

N – მხედარი, B – კუ, Q – ლაზიერი, R – ეტლი, K – მეფე

## თარიღები

**6 ოქტომბერი**

**1899 წ.** დაიბადა ბორის არკადიევი (ფეხბურთი) — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. მისი გუნდები 6-ჯერ იყვნენ ქვეყნის ჩემპიონები, 4-ჯერ სსრკ თასის მფლობელები, ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. გარდაიცვალა 1986 წ.

**1919 წ.** დაიბადა ტომი ლაუტონი (ფეხბურთი — „ჩელსი“, „არსენალი“ ლონდონი, ინგლისი) — ცნობილი ცენტრფორვარდი. 1938, 1939 წ. ლიგის საუკეთესო ბომბარდირი. ნაკრებში ნათამაშები აქვს 23 მატჩი და გაიტანა 23 გოლი.

**1942 წ.** დაიბადა ბიორნ ნორდკვისტი (ფეხბურთი — „ნორჩეპინგი“, „გეტებორგი“ შვეცია). 1970, 1974, 1978 წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 115 მატჩი.

**7 ოქტომბერი**

**1952 წ.** დაიბადა რალფ ედსტრიომი (ფეხბურთი — „გეტებორგი“ შვეცია, „სტანდარდი“ ბელგია, „მონაკო“ საფრანგეთი). შვეციის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. 1974, 1978 წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. ნაკრებში ნათამაშები აქვს 40 მატჩი და გაიტანა 15 გოლი.

**8 ოქტომბერი**

**1928 წელს** დაიბადა ვალდირ პერეირა დიდი (ფეხბურთი — „ფლუმინენსე“, „ფლამენგო“, „ბოტაფოგო“ ბრაზილია, „რეალი“ ესპანეთი). გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 1958, 1962 წ. მსოფლიო ჩემპიონი. 1954 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. დასახელდა 1958 წ. მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ. ნაკრებში ითამაშა 73 მატჩი.

**9 ოქტომბერი**

**1957 წ.** დაიბადა ვიტალი დარასელია (ფეხბურთი — „დინამო“ თბ.) სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1978 წ. სსრკ ჩემპიონი. 1976, 1979 წ. ქვეყნის თასის მფლობელი. სსრკ-ის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი. დიუსელდორფის მატჩის (13.05.81 წ. თასის მფლობელთა თასის ფინალი) გმირი. ნაკრებში ნათამაშები აქვს 22 მატჩი და გაიტანა 3 გოლი. 5-ჯერ შედიოდა საუკეთესოთა შორის „33“-ში. დაიღუპა 1982 წელს.

**1962 წ.** დაიბადა ხოსე ლუის ბურუჩაგა (ფეხბურთი — „ინდეპენდიენტე“ ბუენოს-აირესი, არგენტინა, „ნანტი“ საფრანგეთი). 1986 წ. მსოფლიო ჩემპიონი. 1990 წ. მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი.

**1965 წ.** დაიბადა სოსო ჭედია (ფეხბურთი — „დინამო“ თბ., „სუნდსვალი“ შვეცია). 1984 წ. ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი იუნიორთა შორის. 1990 წ. საქართველოს I ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული.